ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო სხდომის ოქმი #06

27.11.2017

რუსთავი

2017 წლის 27 ნოემბერს გაიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეექვსე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრი დელეგატების უმრავლესობა და მოწვეული სტუმრები - ექსპერტები.შეხვედრას უძღვებოდა ბ-ნი ფარნა დვალი (ფასილიტატორი).

დღის წესრიგი:

1. თემატურ ჯგუფებში მუშაობა;
2. რეკომენდაციების შემუშავება და პრეზენტაცია;
3. დისკუსია;
4. სხდომის შეჯამება.

აღნიშნულ შეხვედრაზე დელეგატებმა წარმოადგინეს თემატურ ჯგუფებში დამუშავებული საკითხები და რეკომენდაციები.

თემატური ჯგუფებიდან რეკომენდაციები მოიცავდა რამდენიმე მიმართულებას, კერძოდ, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულების მნიშვნელოვანი საკითხები: შშმ პირთა მხარდაჭერა, რესოციალიზაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ვაუჩერიზაცია; ასევე ინფრასტრუქტურული საკითხები, რომელიც მოიცავდა კონკრეტული შენობა-ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაციას; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ჯგუფის რეკომენდაციები: მრავალფუნქციური ახალგაზრდული ცენტრების შექმნა, ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერა და წახალისება. განათლების ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილდა ბაღების ნაკლებობაზე, მათ პრობლემებზე და საჭიროებებზე, სკოლამდელი განათლება წარმოადგენდა თემატური ჯგუფის პრიორიტეტულ საკითხს.

საბჭოს სხდომის მეორე ნაწილი დაეთმო თითოეული ჯგუფის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების განხილვას. დისკუსიის ფარგლებში მოხდა შენიშვნების დაფიქსირება.

განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ექსპერტები, რომელთაც რჩევები მისცეს თითოეული თემატური ჯგუფის წევრებს, ხოლო დასასრულს შეხვედრა შეაჯამა სხდომის წამყვანმა ფარნა დვალმა. შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 4 დეკემბერს 19:00 სთ-ზე.

ნუკრი რამიშვილი

სხდომის მდივანი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N6

27 ნოემბერი, 2017

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტრენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კენჭოშვილი	
ინგა ჯიჯელავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	